სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის თაობაზე
ხელშეკრულება №

ქ. თბილისი 13.02.2018წ.

ერთი მხრივ, შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უსდ“), მისი რექტორის ვალენტინა საყვარელიძის სახით და, მეორე მხრივ, სს "სილქნეტი" (შემდგომში „პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია“), მისი გენერალური დირექტორის დავით მამულაიშვილის სახით, ერთობლივად - მხარეები, ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მხარეები თანხმდებიან, რომ უსდ-ს მიერ რეალიზებული აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტის მიერ პროფესიული პრაქტიკის (საწარმოო პრაქტიკის) გავლას, პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკის გასავლელად, უსდ-თან ყოველწლიურად წერილობითი კომუნიკაციის საფუძველზე შეთანხემბული ოდენობით, სტუდენტთა მიღებას, მათ განაწილებას პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებში, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის შესაბამისად, პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების შეძენისათვის სათანადო პირობების შექმნას, რისთვისაც გამოყოფს პრაქტიკულ სწავლებაზე პასუხისმგებელი პირს (მენტორს)/ პირებს (მენტორებს), მის მიერ საწარმოო პრაქტიკაში ჩართული სტუდენტების შეფასების უზრუნველსაყოფად, უსდ-ს მიერ მიწოდებული პროფესიული პრაქტიკის კურსის სილაბუსისა და პროფესიული პრაქტიკის შესრულების ინსტრუქციის შესაბამისად.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია:

ა) ყოველწლიურად ადგენს პროფესიულ პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების კონტიგენტს, კვალიფიკაციათა (სპეციალობათა) და არსებული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად;

ბ) გამოყოფს კვალიფიკაციათა (სპეციალობათა) შესაბამისად, პრაქტიკულ სწავლებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს (მენტორს/მენტორებს);

გ) უზრუნვეყოფს სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლას პროფესიული (საწარმოო) პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად და ყველა შესაბამისი აქტივობის (მათ შორის, შეფასების) განხორციელებას;

2.2. უსდ:

ა) პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა კონტიგენტის შესაბამისად, უზრუნვეყოფს საწარმოო პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სიის ფორმირებას და მიწოდებას;

ბ) გამოყოფს პროფესიული პრაქტიკის ხელმძღვანელს / ხელმძღვანელებს, უზრუნველყოფს მათ კომუნიკაციას მენტორებთან;

გ) უზრუნველყოფს პროფესიული (საწარმოო) პრაქტიკის სილაბუსის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის და პროფესიული პრაქტიკის შესრულების ინსტრუქციის მიწოდებას.

3. შემსრულებლის მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. პროფესიული პრაქტიკა პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე.

3.2 უსდ იღებს ვალდებულებას, პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე, გამოყოფილ მენტორებს გადაუხადოს მენტორთან შეთანხმებული ოდენობით - ჰონორარი (ანაზღაურება), შესაბამისი ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 4 (ოთხი) წლის ვადით.

4.2. ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად, იმავე ვადით, თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე, რომელიმე მხარემ არ განაცხადა უარი, ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე;

4.3. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან ცალმხრივად - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებსა და პირობებით.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2. ხელშეკრულებას თან ერთვის, იმ საგანმანათლებლო პროგრამების სია (დანართი N1), რომელთა ფარგლებშიც გათვალისწინებულია პროფესიული (საწარმოო) პრაქტიკის გავლა, ამ ხელშეკრულების საფუძველზე; დანართი მოიცავს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეთანხმებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატება / არსებულის ამოღება ხორციელდება წერილობითი კომუნიკაციის საფუძველზე;

5.3. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. ყველა დავას, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია:		**უსდ:**
სს „სილქნეტი“ მისამართი:თბილისი, წინაძღვრიშვილის ქ. 95 ს/კ: 204566978 ვებ გვერდი: www.silknet.com ხელმოწერა: ---------- დ.მამულაიშვილი		**შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი** (ს.კ N206046045) მის: თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.N31 ტელ: (+99532) 2545908, 2545909 ელ ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge ვებ გვერდი: www.thu.udu.ge ხელმოწერა: ---------- ვ. საყვარელიძე